ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7739389

ნომერი: AR11119849

თარიღი : 02.12.2025

გაცემის თარიღი : 12.12.2025

გაცნობის თარიღი : 12.12.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გულიკო გოდოლაძის ქუჩა, N 30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ეფრემიძე პ/ნ 01008050596
- თბილისი ქობულეთის ქ. N 3/15 ბ. 97

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2025 წლის 2 დეკემბრის №AR11119849 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 2 დეკემბრის №AR11119849 განცხადებით მომართა მარიამ ეფრემიძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 20

ოქტომბრის №7669598 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 20 ოქტომბრის №7669598 ბრძანებით, №01.18.13.020.059 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 20 ოქტომბრიდან 2028 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2025 წლის 24 ნოემბრის №7713674 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 20 ოქტომბრის №7669598 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა ავტოსადგომის ფართობი: 1285.9 კვ.მ., დამხმარე ფართობად დაფიქსირდა: 75.6 კვ.მ. საერთო ფართობად: 11875.8 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდა ღია ავტოსადგომები: 50.0 კვ.მ. გარდა ამისა, სამსახურის 2025 წლის 20 ოქტომბრის №7669598 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა, 2025 წლის 17 ნოემბრის №AR11117211 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 20 ოქტომბრის №7669598 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გამორჩენილია დაცვის ჯიხურის ფართობის (7.3 კვ.მ.) ბრძანებაში დაფიქსირება. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას. დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ დაცვის ჯიხური წარმოადგენს დამხმარე ფართს. შესაბამისად, მისი ფართობი შეყვანილ უნდა იქნას დამხმარე ფართობში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში დააზუსტოს მოთხოვნა დამხმარე და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2025 წლის 2 დეკემბრის №AR11119849 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.